



World Experience for Georgia

ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების შესახებ

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ენერგეტიკის სექტორში ევროკავშირის დირექტივების დანერგვით, კომპლექსური რეფორმების გატარებას გულისხმობს. ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების ეტაპობრივი შესრულება საქართველოს ასოცირების ან ენერგეტიკული გაერთიანების (EC) ფორმატში შეუძლია. თუ ქვეყანა 2016 წლის სექტემბრამდე ვერ მოახერხებს გახდეს ენერგეტიკული გაერთიანების წევრი (რისთვისაც მხოლოდ საჭიროა, რომ შეათანხმოს რეფორმების განხორციელების ვადები და პირობები), მოლაპარაკებები გადაინაცვლებს ასოცირების ფორმატში. მთავარი განსხვავება ამ ორ შესაძლებლობას შორის კი ის არის, რომ ენერგეტიკული გაერთიანება შედარებით მარტივ გზებს სთავაზობს ქვეყანას, ასოცირების ფორმატი კი შეიძლება უფრო ხისტი და რთულად განსახორციელებელი აღმოჩნდეს. თანაც არ არის წინასწარ ცნობილი იქნება თუ არა შესაძლებელი ასოცირების ფორმატში იმავე შეღავათებისა და გამონაკლისების, პოლიტიკური და ენერგეტიკული მხარდჭერის მიღება, რაც ენერგეტიკულ გაერთიანების ფორმატშია შესაძლებელი.

მოლაპარაკებები საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ 2014 წლის თებერვლიდან მიმდინარეობს. გაწევრიანება უნდა მომხდარიყო იმავე წლის ოქტომბერში, თუმცა, 2 წლის შემდეგაც, რეალური შედეგი არ დამდგარა. ენერგეტიკაში ასოცირების მოთხოვნების შესრულების გეგმა შემუშავებული და შეთანხმებული არ არის; ხოლო ამა წლის იანვარში დაგეგმილი მოლაპარაკების რაუნდი გაურკვეველი მიზეზებით გადაიდო, რაც მიაჩნია პროცესის არაეფექტურ მიმდინარეობაზე, რისკის ქვეშ აყენებს გამოყოფილ ვადებში ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებას და ეჭვის ქვეშ აყენებს ასოცირების შეთანხმების ენერგეტიკული მუხლების შესრულებისთვის საკმარისი პოლიტიკური ნების არსებობას.

საქართველოსთვის რეფორმების დაუყოვნებლივი გატარების საჭიროებას ამდაფრებს მაღალი დამოკიდებულება იმპორტირებულ ენერგიაზე და შიგა გაუმჭვირვალე ინსტიტუციური გარემო, რაც ეროვნული უსაფრთხოების მაღალ რისკებს ქმნის.

რატომ ენერგეტიკული გაერთიანება?

ენერგეტიკული გაერთიანება 2005 წელს შეიქმნა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და სხვა მოკავშირე ქვეყნების მიერ, ევროკავშირის შიდა ბაზრის რეგულაციების სამხრეთ ევროპისა და შავი ზღვის რეგიონში, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში, გაფართოების მიზნით. ენერგეტიკული გაერთიანების ძირითადი ამოცანებია ინტეგრირებული ენერგეტიკული ბაზრების შექმნა და ევროკავშირის ბაზართან შერწყმა, ინვესტიციების მოზიდვა ენერჯის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა; ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლება გარემოს გაუმჯობესება და სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების ხელშეწყობა. დღეს ბალკანეთის ქვეყნების გარდა ენერგეტიკული გაერთიანების წევრებია უკრაინა და მოლდოვა.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მიხედვით, ენერგეტიკული სექტორის რეფორმა და ევროპული დირექტივების დანერგვა უნდა მოხდეს იმ განსაზღვრულ ვადებში და იმ პირობების დაცვით, რომელიც საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე განისაზღვრება თუ ეს შეთანხმება ვერ შედგა ორი წლის განმავლობაში, მესამე წელს, იგივე პირობები უნდა შეთანხმდეს ევროკავშირთან პირისპირ ასოცირების ფორმატში. **ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება. საქართველოსთვის არ გულისხმობს ასოცირების ხელშეკრულებისგან განსხვავებული, რამე არსებითი მოთხოვნების დაკისრებას.** პირიქით, ევროკავშირი ამ ფორმით ცდილობს დაეხმაროს სახელმწიფოებს, შედარებით მარტივი გზით განახორციელონ რეფორმები და მიიღონ გარკვეული შედეგები. კერძოდ:

- ✓ განსაკუთრებულ შემთხვევებში დასაშვებია გარკვეული გამონაკლისები ევროპული კანონმდებლობიდან (დეროგაცია), რაც ქვეყნის სპეციფიკურ თავისებურებებს გაითვალისწინებს. *კონკრეტულად საქართველოსთვის ერთერთი ასეთი შედეგია გაზის ტრანზიტის დღეს არსებული მომგებიანი პირობების შენარჩუნება.*
- ✓ ენერგეტიკული უსაფრთხოების ასამაღლებლად, გაერთიანება სთავაზობს საგანგებო ენერგეტიკულ სიტუაციებში ურთიერთმხარდაჭერის მექანიზმებს. მიუხედავად ევროკავშირთან საერთო საზღვრების არარსებობისა, საქართველოსთვის, დღეს ასევე შესაძლებელია საგანგებო დაცვით მექანიზმებზე მუშაობა (მათ შორის თურქეთის გავლით).

ამ კუთხით საინტერესოა უკრაინის მაგალითი, რომელიც გაერთიანების წევრია და რუსეთთან დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის გამო, დღეს იგივე რუსულ გაზს იღებს არა უშუალოდ რუსეთისგან, არამედ რევერსულად უნგრეთიდან და სლოვაკეთიდან, რაც ძირეულად ამცირებს ენერგომომარაგების და უსაფრთხოების რისკებს.

- ✓ ენერგეტიკული გაერთიანება ქვეყნებს სთავაზობს მნიშვნელოვან ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას რეფორმების გატარებაში და ინვესტიციების ხელშეწყობას, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც საქართველოსთვის ასევე ევროკავშირისათვის, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში

ამ მექანიზმების არგამოყენებით საქართველო მნიშვნელოვან დროსა და სარგებელს კარგავს.

რატომ არის საჩქარო ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება და რეფორმების გატარება?

ბუნებრივი გაზის თემაზე ბოლოდროინდელმა მოლაპარაკებებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ქვეყნის გარე ენერგეტიკული დამოკიდებულება კრიტიკულ ზღვრამდე არის მისული, რაც შესაძლოა ქვეყნის პოლიტიკური არჩევანის წინააღმდეგ იყოს გამოყენებული. ენერგეტიკაში არსებული დაუბალანსებელი და გაუმჭვირვალე ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო, ისევე როგორც ერთიანი სტრატეგიის და ეფექტური კონტროლის მექანიზმების არარსებობა, ქვეყნის სხვადასხვა დონის ოფიციალურ პირებს დაუცველს ხდის გარე თუ შიგა პოლიტიკური და კორუფციული ზეგავლენების წინაშე.

ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების და რეფორმების გადავადება იწვევს ამ საშიში გარემოს შენარჩუნებას, ზრდის რისკებს და კიდევ უფრო ართულებს ასოცირების ხელშეკრულების შესრულებას; მართლაც, წლების განმავლობაში, ერთიანი სტრატეგიის გარეშე, გაუმჭვირვალე პრინციპებით და არათანაბარი პირობებით დადებული მემორანდუმები (ჰიდროსადგურების დეველოპერებთან, სხვა ქვეყნის ენერგოკომპანიებთან და ა.შ.) ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება საბაზრო კონკურენციის და რეგულირების პრინციპებს, წარმოშობს სამომავლო ვალდებულებებს, ბოჭავს სექტორის პროგრესულ განვითარებას და რეფორმირებას. ამ პრაქტიკის გაგრძელება კიდევ უფრო დაამძიმებს არსებულ ვითარებას და

დაგვაშორებს ასოცირების მიზნებს, რაც შეიძლება აწყობდეს მხოლოდ საქართველოს დასავლური კურსის მოწინააღმდეგეებს.

საგულისხმოა მაგალითია, რომ 2012 წელს რუსეთი მოლდოვას გაზის ფასის მესამედით შემცირებას სთავაზობდა ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებაზე უარის თქმის სანაცვლოდ თუმცა მტკიცე პოლიტიკური ნების გამო ამან ვერ დააბრკოლა მოლდოვის გაწევრიანება ამ გაერთიანებაში.

საჭიროა მეთოდური მუშაობა და ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის პრინციპების დანერგვით გარე და შიგა ენერგეტიკული თუ პოლიტიკური საფრთხეების შემცირება, ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად და სექტორის მონაწილეთა ლეგიტიმური, კომერციული ინტერესების დაცვით. ასეთი რეფორმების გატარება შეესაბამება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ინტერესებს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის და გამჭვირვალე და საიმედო ენერგეტიკული დერეფნის შენარჩუნება, კასპიური ენერგეტიკული რესურსების ევროპამდე მისატანად.

ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება და რეფორმის დაწყება აჩვენებს ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანის სიმწიფეს და შესაბამისად გახდება ევროკავშირის მხრიდან ,მეტი პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის საწინდარი, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უკიდურესად დამაბულ პერიოდში განსაკუთრებით საჭიროა.

დასკვნა

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების და რეგიონის ქვეყნებზე ეკონომიკური თუ პოლიტიკური დამოკიდებულების საფრთხეებს განაპირობებს, როგორც გარე ენერგეტიკული დამოკიდებულება, ასევე შიდა ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემოს გაუმართაობა. ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანება არის ამ პრობლემების, პოლიტიკური და ენერგეტიკული სოლიდარობის პირობებში, შიდა რეფორმების გატარების და ენერგეტიკის განვითარების ახალ საფეხურზე აყვანის ინსტრუმენტი. ენერგეტიკული გაერთიანების მოლაპარაკების ფარგლებში უკვე მიღწეულია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი კომპრომისები.

ამ მექანიზმის არგამოყენება და რეფორმების გადავადება რისკის ქვეშ აყენებს ასოცირების შეთანხმების შესრულებას, ეჭვს აჩენს ქვეყნის ევროპული არჩევანის და შიდა პოლიტიკური პროცესის სიმწიფის მიმართ; შესაბამისად ამცირებს დასავლურ მხარდაჭერას, ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარების და სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელების პერსპექტივებს.

ამდენად, ენერგეტიკაში რეფორმების გატარება და შიდა საბაზრო მექანიზმების გამართვა თავისთავადი სარგებელია საქართველოსთვის. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად, ევროინტეგრაცია და სტრატეგიული ენერგეტიკული პროექტების განხორციელება წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, ამ მიმართულებით მოძრაობის დაბრკოლება კი ამ ინტერესების უგულვებელყოფა იქნება.

რეკომენდაციები:

ზემოთქმულის გათვალისწინებით აუცილებლად მიგვაჩნია:

- დაევალოს ქართულ მომლაპარაკებელ მხარეს მოლაპარაკების ეფექტურად წარმართოს და უმოკლეს ვადებში დასრულება, რათა პროცედურული ვადების გათვალისწინებით, რისკის ქვეშ არ დადგეს ასოცირების პირობების ენერგეტიკული გაერთიანების ფორმატში შესრულება;
- ენერგეტიკის სამინისტრომ დაიწყოს პრაქტიკული მუშაობა სექტორის მონაწილეებთან, ევროდირექტივების დანერგვის და სექტორის მოდერნიზაციის დაჩქარების სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად;
- მთავრობის მიერ დაწესდეს სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ დადებული შეთანხმებების ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის პრინციპებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვების და რეფორმების გაადვილების მიზნით მოხდეს ენერგეტიკაში ევროინტეგრაციის პროცესების ფართო განხილვა და გაშუქება.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მზად ვართ, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შევუწყოთ ენერგეტიკის რეფორმირების და მოდერნიზაციის პროცესს.